F567w/3147

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-8 წელი

№ 11 (117)

ნოემბერი,

1964 წელი

დედა-საქართველოში

ახალი საშენი მასალა

რუსთავის მინერალური ბამბის ნაწარმის ქარხანაში ამუშავდა ნახევრადავტომატური ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც ამზადებს მყარ საიზოლაციო ფილებს. ფილებისათვის საწყისი ნედლეულია მინერალური ბამბა და ბითუმდიატომიტის ემულსია. ფილებს კარგი თბოსაიზოლაციო თვისებები აქვს.

ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 14 ათას კუბურ მეტრ მყარ ფილას. ეს შესაძლებელს გახდის მთლიანად დაკმაყოფილდეს ამიერკავკასიის საჭიროებანი.

„სალხინო" — სალხინად

ფლითიფლოგით ფართოვდება განთქმული ქართული ღვინის „სალხინოს" წარმოება. ამ ღვინოს საერთაშორისო და საკავშირო გამოფენებზე ოთხი ოქროს მედალი აქვს მიკუთვნებული.

ვარციხის ღვინის ქარხანა „სალხინოს" გარდა წელს საერთოდ 130.000 დეკალიტრ ღვინოს დაამზადებს.

საუკეთესოა...

ქართველი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ შექმნილმა ჩაის ფოთლის პირველმა საკრეფმა მანქანამ „საქართველომ" უკვე საყოველთაო აღიარება ჰპოვა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მეჩაიეობის რაიონებში, არამედ საზღვარგარეთაც. ამ ჯადოსნურ მანქანაზე უკვე მიღებულია შეკვეთები ინგლისიდან, იაპონიიდან.

ახალი საბაგირო გზა

ყვარელს მაღლიდან დაჰყურებს „ილიას გორა". მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის აქ ბევრი რამ გაკეთდა.


ახლახან ყვარლელებმა „ილიას გორამდე" საბაგირო-საჰაერო გზის გახსნა იზეიმეს. მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მოსწავლე-ახალგაზრდობა „ილიას გორის" ხშირი სტუმრები არიან.

ქვეყანა, ცნობები

პოლონეთის ელჩი — ქართველ მეგობარს

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ქართველი მფრინავი, თადარიგის გვარდიის გენერალ-მაიორი შალვა ჭანქოტაძე დააჯილდოვა გრიუნვალდის ჯვარის მესამე ხარისხის ორდენით.

სამამულო ომის წლებში შალვა ჭანკოტაძე მეთაურობდა სამგზავრო და სატრანზიტო თვითმფრინავების ავიაჯგუფს, რომელიც უდიდეს დახმარებას უწევდა პარტიზანთა მრავალრიცხოვან რაზმებს, ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რომ მოქმედებდნენ.



განსაკუთრებით მშვენიერია მოზეიმე საქართველოს დედაქალაქი — თბილისი ღამით.

საოქტომბრო გვიმი საქართველოში

საქართველოს მშრომელებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა ზეიმით იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავი.

ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა ზეიმის დღეს საქართველოს დედაქალაქმა. დილადაბე ზღვა ხალხი მოეფინა ქუჩებსა და მოედნებს, იყო ხალისი და მხიარულება. ყველაზე მომხიბლავად მაინც ცენტრალური — რუსთაველის პროსპექტი გამოიყურებოდა. რესპუბლიკის მთავრობის სასახლესთან აღმართულ ტრიბუნებზე არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წარჩინებული მოწინავე ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგები.

პირველად გაიმართა თბილისის სამხედრო გარნიზონის ჯარების პარადი. პარადის დაწყების წინ პროსპექტზე ჩაწკრივებულ ჯარის ნაწილებს სიტყვით მიმართა ამიერკავკასიის სახმედრო ოლქის ჯარების სარდალმა, არმიის გენერალმა ა. ტ. სტუპენკომ. ჩვენი სახელოვანი საბჭოთა შეიარაღებული ყველა სახეობა და საშუალებები, რომელიც პარადზე იყო წარმოდგენილი, ამაყად დგას კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი, მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე...

და აი ისინიც — მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის ადამიანები. რუსთაველის პროსპექტზე თითქოს დროშების მთელი ტყე მოდისო, დაიწყო დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო დემონსტრაცია.

ჩვენში საუკეთესო ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ყოველ დღესასწაულს მშრომელები აღნიშნავენ ახალ-ახალი შრომითი მიღწევებით. ასე იყო ახლაც, დემონსტრაციაზე მოსული მშრომელთა კოლონები თავიანთ პატაკებს აძლევენ დიდი ოქტომბრის 47-ე წლისთავის ზეიმს. და იმ წარმატებებში, რომლებითაც თბილისის მშრომელები შეეგებნენ ოქტომბრის დღეს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთელი ჩვენი ქვეყნისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა.

ტრიბუნებს საზეიმოდ ჩაუარეს თბილისის ლენინის, ორჯონიკიძის, კალინინის, ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის რაიონების მშრომელებმა. ვის არ ნახავდით მათ რიგებში! მშრომელ ადამიანებს, რომლებიც ქმნიან სახალხო დოვლათს და სიმდიდრეს, დედაქალაქის ტრანსპორტის, საფეიქრო და კვების მრეწველობის, ვაჭრობის მუშაკებს, მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, ჩვენი მუშათა კლასისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს.

საოქტომბრო დღესასწაულთან დაკავშირებით მშრომელთა საზეიმო დემონსტრაციები გაიმართა სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, თელავში, ზუგდიდში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.







ჩვენო ძვირფასო მეგობრებო! როდესაც ამ სურათებს დახედავთ, თვალნათლივ იგრძნობთ, თუ რაოდენი სიხარული და ხალისი იყო თბილისის ქუჩებში საოქტომბრო ზეიმის დღეს, როცა ჩვენი თავისუფალი და ბედნიერი ხალხის გული ლაღობდა და ფრთაგაშლილი მხიარულობდა.

თქვენ ხედავთ, თუ როგორ ამაყად მოაბიჯებენ სახელოვანი ქართველი მეცნიერების წარმომადგენლები (პირველი სურათი, ზემოდან); მოდის სიჭაბუკე — სტუდენტი ახალგაზრდობა (მეორე სურათი); მესამე სურათზე, წინა პლანზე თქვენ ალბათ უკვე იცანით სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი — საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის ხელმძღვანელები; ზეიმობს ჩვენი ცხოვრების ყვავილნარი — ჩვენი მომავალი (ქვედა სურათი).



ადამიანი, მოქალაქე, მეცნიერი

ნარკვევი



გულდასმით ვფურცლავ უბის წიგნაკს და ვცდილობ ძუნწი ბიოგრაფიული ცნობების საფუძველზე წარმოვიდგინო ადამიანი... მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-მუშაკი, მეცნიერი მეტალურგი... რატომღაც თვალწინ მეფატება სათვალებიანი დარბაისელი კაცი მეტალურგიულ ღუმელთან. ღუმელი — ეს აშკარა გადაჭარბებაა, სათვალეები კი — ვნახოთ. ჩემი გმირის პორტრეტი აშკარად ბუნდოვანი და მკრთალი გამოვიდა. ოდნავ შეფიქრიანებული, ვიწყებ ინსტიტუტის მისამართის ძებნას... ბოტანიკის ინსტიტუტი, ზოოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ლიტერატურის, მათემატიკის და აი მრავალრიცხოვან სახელწოდებათა შორის გამოჩნდა ის, რომელსაც მე ვეძებდი. მეტალურგიის ინსტიტუტი...

...შესასვლელში რამდენიმე თანამშრომელი ხმამაღლა და გაცხარებით კამათობს. მესმის ფრაზების ცალკეული ნაწყვეტები: „აზოტირებული მანგანუმი...“ „სუფთა ფოლადი“ და სხვ.

ბოლოს ერთ-ერთი მოკამათე მომიტრიალდა: „ბარათაშვილი გნებავთ? ილიკო? აბრძანდით ფოლადის წარმოების ლაბორატორიაში“.

ლაბორატორიაში მუშაობა დუღს. მზადდება მორიგი ცდები. ჩემსკენ მოდის მაღალი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა: „ილია ბარათაშვილი“. — მიწვდის იგი ხელს.

ოდნავ შეცბუნდა, როცა ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი, და უნებლიედ საათს დახედა. ვიგრძენი, რომ წუთებით დაგეგმილ და გაანგარიშებულ დროს ვართმევ. მოიძრო სათვალე (სათვალემ ხომ მაინც „გამიმართლა“ — კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნე გულში). რამდენიმე წამით მაგრად მოსუჭა დაღლილი თვალები: მთელი მისი სახე აშკარად მეტყველებდა: „რადა გაწუწუბა“. მომიბრუნდა. „გისმენთ, რა გაინტერესებთ“.

თავის თავზე ილია მეტად ძუნწად ყვებოდა. თითქმის არაფერი არ დემატა იმ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, რომლებსაც მე უკვე ვიცნობდი...

1956 წელი — დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
1962 — მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ამჟამად მუშაობს ფრიად საინტერესო თემაზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სადოქტორო დისერტაციას. ატარებს მთელ რიგ საინტერესო ექსპერიმენტებს.

ჩვენი იმედიც ძნელი საუბარი თითქმის ყოველ წუთს წყდება — იგრძნობა, რომ ილიას ყურადღება არის იქ, დანადგარებთან; თანამშრომლებიც ხშირად აწყვეტინებენ საუბარს.

ერთ-ერთი მათგანი კი მოდის ჩემს დასახმარებლად და მიხსნის, რომ ბარათაშვილის დისერტაციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა სახალხო მეურნეობაში. მეცნიერის ტექნოლოგია დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში.

ილია დადუმდა და თითქოს ვედრებით შემომხედა. ვიგრძენი — წასვლის დროა. ხელი მეგობრულად ჩამომართვა, გამოიღიმა და ჩემთვის მოულოდნელად მითხრა: „თუ სურვილი გექნებათ, გამომიარეთ ამ დღეებში სახლში“...

...ოთახიდან როიალის ხმა ისმის. არაყიწვილია — ვიცანი.

ზარის მძაფრმა წკრიალმა „დაფრთხო“ მუსიკა. ილიამ აჩქარებით დახურა ნოტები.

— ო, უკრავთ?

შეცბუნებული ღიმილი იყო პასუხად.

— ერთ დროს ტექნიკუმშიც კი ვწვალობდი, მაგრამ მერე მათემატიკამ გამიტაცა და მუსიკა მეორე პლანზე გადავიდა. მიყვარს როიალთან დასვენება.

მივიხედ-მოვიხედე. ჩემს პირდაპირ დგას წიგნების დიდი კარადა. საინტერესოა, რა იტაცებს ჩემს გულყრილა მასპინძელს. წიგნები ხომ ხშირად თავის მფლობელზე სიტყვებზე უფრო მკაფიოდ მეტყველებენ, მის შინაგან სამყაროს გვიხსნიან.

თაროებზე განლაგებულან ჭოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები, ჩვენი სახელოვანი ქართველი მწერლები, პოეტები და მოაზროვნეები, თანამედროვე ავტორები.

ილია უახლოვდება კარადას, ალერსიანად ავლებს თვალს წიგნებს.

— წაიკითხეთ? როგორ მოგეწონათ? — და თანდათან საუბარი იქცევა გაცხარებულ კამათად, აზრების გაცვლა-გამოცვლად. ერთი საათიც არ გასულა, ჩვენ კი უკვე ვგრძნობთ, რომ ნამდვილად დავმეგობრდით...

საწერი მაგიდა სავსეა სპეციალური წიგნებით, ნახაზებით, დოკუმენტაციით. სულ მოკლე ხნის წინ აქ მუშაობდნენ, მუშაობდნენ თავდავიწყებით, სიყვარულით, შემოქმედებითი ცეცხლით. ეს იგრძნობა პირველი შეხედვით შეუმჩნეველი დეტალებით, რომლებსაც ამჩნევს ყურნალისტის გაწაფული თვალი.

...ჩარჩოდან დაგვცქერის შუახნის ქალი. მასპინძელმა დამასწრო.

— დედაა, თუმცა, ობიექტური თუ ვიქნებით, მამობაც მაგან გამიწია. კითხვას კვლავ არ მაცდის და შეკრული შუბლით უმატებს.

— მამამ მიგვატოვა... ამერიკაშია... მესმის, რაც ტრიალებს ამ წუთებში ილიას გულში და ვჩქარობ გადავიტანო საუბარი სხვა თემაზე. საშველად კვლავ საყვარელი წიგნების გმირები მოდიან...

დიდხანს გავჩერდი იმ საღამოს ჩემს ახალ მეგობართან. რაზე არ ვისაუბრეთ — თანამედროვე ქართულ პოეზიაზე, მსოფლიო ეკრანის ვიასტლებზე, შემდეგ ტექნიკურ პრობლემებზე გადავდიოდით... და თანდათან ჩემს წინ იხსნებოდა სულიერი სამყარო ჩემი მასპინძლისა, სამყარო დიდი პატრიოტისა, ინტელიგენტისა და მოქალაქისა.

„ვამახური — ხალხისთვის!“ — გულიდან ამოსული ეს სიტყვები ილია ბარათაშვილის ცხოვრების მთავარი მოტივია.

გ. ჯავახიშვილი.

* * *

სურათზე: ილია ბარათაშვილი.

საქართველოს სტუმრები

უსაზღვრის თვალით

საქართველოში ამას წინათ სტუმრად იყო ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი **ვალტერ ლიცე**. საშობლოში გამგზავრების წინ გერმანელმა პროფესორმა გაზეთ **„სამშობლოს ხმის“** კორესპონდენტს შთაბეჭდილებები გაუზიარა:

— თქვენს ქვეყანაში, — თქვა მან, ჩამოვედი საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კულტურული ურთიერთობის შესახებ შეთახმების შესაბამისად, ხოლო თბილისში, რომელსაც მეორედ ვესტუმრე, საკუთარი ინიციატივით გამოვემგზავრე. თბილისი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია იმათ შორის, რომელნიც მე მინახავს: იგი რომს მაგონებს.

ქართულმა გერმანისტიკამ ჩემზე უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, უწინარეს ყოვლისა მომწონს ის, რომ ქართველი გერმანისტები ერთ ნამდვილად მონოლითურ კოლექტივს შეადგენენ. სტუდენტებს შევამჩნიე ღრმა ინტერესი გერმანული კულტურისადმი. ერთი სიტყვით, მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ორ-სამ წელს სიამოვნებით ვიმუშავებდი თბილისის უნივერსიტეტში.

* * *

უნგრეთიდან საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი უნგრელი მწერალი **იმრე კესეგი** მეუღლითურთ.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები — მთაწმინდის პანთეონი, ბოტანიკური ბაღი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, იყვნენ მცხეთაში, ნახეს სვეტიცხოველი, ჯვარი და კულტურის სხვა ძეგლები.

— საბჭოთა საქართველოში, — თქვა კესეგიმ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში, — თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ჩემს მშობლიურ უნგრეთში. ქართველი ხალხი ჭეშმარიტად კეთილი ხალხია.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მცხეთის სვეტიცხოველის დიდებულმა ტაძარმა. მინდა დავწერო ნოველა სვეტიცხოველზე. მშობლიურ უნგრეთში რომ დავბრუნდები, ჩემს თანამემამულეებს ვუამბობ საქართველოს მიღწევებზე სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, უნგრელი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე.

მსოფლიო ბაზარზე

ახლახან ბათუმიდან ინდოეთში გაგზავნეს ნატურალური კოფეინის დიდი პარტია. ბათუმის კოფეინის ქარხანა ერთადერთია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს ევროპაში, რომელიც ამ სამკურნალო პრეპარატს ამზადებს ჩაის მრეწველობის ნარჩენებისაგან. ცხადია საქართველოს ეს ერთ-ერთი დიდი სამრეწველო საწარმო მარტო ამ სამედიცინო პრეპარატს როდი ამზადებს. მის ნომენკლატურაშია 17 დასახელების სხვადასხვა მედიკამენტი, მათ შორის **„პლატიფელინი“** — ეფექტური საწოლები გულის სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ, **„კელინი“** —ბრონხიალური ასთმის დროს რომ გამოიყენება, **„პლატიფელინიანი პაპავერინი“**, რომელიც ჰიპერტონული დაავადებია საკურორტოლოდ იხმარება და მრავალი სხვა.

დიდი ხანი არ არის, რაც ქარხანაში აითვისეს ახალი პრეპარატის — **„კოლხამინის“** წარმოება. იგი დიდი წარმატებით გამოიყენება კუჭის სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად. „კოლხამინის“ ტაბლეტები ექსპონირებული იყო ბულგარეთის ქალაქ პლოვდივის საერთაშორისო ბაზრობაზე, დამასკოსა (სირია) და იზმირის (თურქეთი) მსოფლიო გამოფენებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია „კოლხამინამ“ საერთაშორისო ბაზრობებზე ლიბანში, განაში, ირანში, ბერ-ში.

ბათუმის კოფეინის ქარხნის სამედიცინო პრეპარატებს ხმამაღლა ამბობენ არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, არამედ მსოფლიოს 15 სახელმწიფოს სამკურნალო დაწესებულებებში.

მუსიკის სიცოცხლე

შალვა მშველიძის დაბადებიდან 60 წლისთავის გამო



ქართული სამუსიკო ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, თბილისის კონსერვატორიის პროფესორს შალვა მიხეილის-ძე მშველიძეს დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა. ეს თარიღი საზეიმოდ აღნიშნა საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ. კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში, რადიოსა და ტელევიზიაში და მთელ რიგ მუსიკალურ სასწავლებლებში ოქტომბრის ბოლო დღეებში გაიმართა კონცერტები და ჩატარდა ლექცია-მოხსენებები, მიძღვნილი თანამედროვე ეროვნული მუსიკის ამ დიდი ოსტატისადმი. პირველ ნოემბერს კი, საოპერო თეატრის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიმართა მშველიძის საიუბილეო საღამო, რაც სახელოვანი იუბილარის საოპერო და სიმფონიური ნაწარმოებების შესრულებით დამთავრდა.

რით დაიმსახურა შალვა მშველიძემ ქართველი ხალხის, მთელი საბჭოთა კავშირის მუსიკის მოყვარულთა და სპეციალისტების პატივისცემა და მისი უბადლო ნიჭის საყოველთაო აღიარება? მან თავისი მრავალმხრივი, ნაყოფიერი მოღვაწეობით საგრძნობლად შეუწყო ხელი ეროვნული სამუსიკო ხელოვნების განვითარებას. მისი შემოქმედება, მძლავრი ფესვებით დაკავშირებული ჩვენს ხალხურ სასიმღერო კულტურასა და უფროსი თაობის კომპოზიტორთა ჯანსაღ, რეალისტურ ტრადიციებთან, ხასიათდება ხალასი ნიჭის თვითმყოფობით, მაღალი საკომპოზიციო ოსტატობითა და ღრმა აზროვნებით.

ამ თვისებებმა ჯერ კიდევ მის ადრინდელ ქმნილებებში იჩინა თავი. ასეთებია: სამი სიმღერა „თუშის ქალები“, „ოროველა“ (1929 წ.) და „გახა წიკლაური“ (1933 წ., მიძღვნილი სახელოვანი მთამსვლელის მოხევე გ. წიკლაურის ხსოვნისადმი), სიმფონიური ოდა „აზნაური“, და „ფშაური“ (1933 წ.). ამ უკანასკნელში, პირველად ქართულ მუსიკაში, განსაცვიფრებელი სიახლით, ეშხითა და მომხიბვლელობით ამეტყველდა ვაჟა-ფშაველას მშობლიური მხარის ხალხური მუსიკის ნიშანდობლივი მელოდიკური და ჰარმონიული მიმოქცევანი.

მთებიდან მონაბერი სპეტაკი საამო სიოსავით, კლდეებიდან მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს დუდუნის მსგავსად გაისმა „ფშაურის“ მუსიკა, რაც მოწმობდა მკვეთრ ინდივიდუალობის მქონე კომპოზიტორ-ხელოვანის დაბადებას. აქედან მოყოლებული შ. მშველიძის მადლიანი შემოქმედება ერთი, განუხრელად აღმავალი ხაზით მიიმართება. მთელი საქართველოს, კერძოდ კი — მთიელთა მუსიკალური ფოლკლორი მშველიძის ვოკალურ, სიმფონიურ და საოპერო ნაწარმოებებში ფართო ნაკადით იჭრება, მაგრამ არა ციტატების, არამედ ძირითადი „სამშენებლო მასალის“ სახით.

თანამედროვე ევროპული საკომპოზიციო ტექნიკას სრულყოფილად დაუფლებული ხელოვანი ჭეშმარიტი ოსტატობითა და პოეტური შთაგონებით იყენებს მშობლიურ ჰანგებს, მათს დამახასიათებელ თვისებებს, რომელთა საფუძველზე ქმნის საკუთარი, „მშველიძისეული“ მუსიკალური მეტყველების ლექსიკას. ამის მაგალითებია მდიდარი ფანტაზიითა და შემოქმედებითი გაჭანებით წარმოქმნილი დიდი ფორმის ნაწარმოებები. მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ღირსშესანიშნავი სიმფონიური პოემა „ზვიადაური“ ვაჟა ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით. ამ ნაწარმოებით, რომელშიც გადმოცემულია ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობის იდეა, მშველიძემ არა მარტო საკავშირო სახელი მოიხვეჭა, არამედ ქართულ პროგრამულ სიმფონიურ მუსიკას განვითარების ფართო პერსპექტივები დაუსახა.

ათი წლის შემდეგ მშველიძე ქმნის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან სიმფონიურ პოემა „მინდიას“ (1950 წ.). ვაჟას „გველისმჭამელის“ პოეტური სახეებისა და ეთიკურ-ფილოსოფიური მოტივების შთაგონებით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ვაჟას განუმეორებელი პოეტური მეტყველების განსაცვიფრებელი თვითმყოფობა მშველიძის მსგავსად სიმფონიურ მუსიკაში ჯერ არც ერთ კომპოზიტორს არ გადმოუცია ესოდენი სიღრმით, მხატვრული დამაჯერებლობითა და მიმზიდველობით.

ვოკალურ-სიმფონიური მუსიკის დარგში შალვა მშველიძეს შექმნილი აქვს მონუმენტური ორატორია „კავკასიონი“, მიძღვნილი სამშობლოს დამცველ სამამულო ომის გმირებისადმი. ასეთივე მხურვალე პატრიოტული გრძნობით და ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვების შეუდრეკელი რწმენითაა გაჯერებული მშველიძის პირველი (1943 წ.) და მეორე (1944 წ.) სიმფონიები. რაც შეეხება მის მესამე სიმფონიას („სამგორი“, 1952 წ.) იგი მიძღვნილია საბჭოთა ადამიანების გმირული, ბუნების გარდამქმნელი შრომისადმი.

შ. მშველიძე — ორი მონუმენტური ოპერის ავტორია. ესენია — „თქმულება ტარიელზე“ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით (ლიბრეტო აკაკი ფაღავასი) და „დიდოსტატის მარჯვენა“ კონსტანტინე გამსახურდიას თანამოსახელე რომანის მიხედვით (ლიბრეტო კ. გამსახურდიასი და ნ. ძიძიშვილისა). ამ ოპერათა გრანდიოზულმა გუნდებმა, ვაჟკაცური იერის არიებმა, განვითარებულმა ანსამბლებმა და მოქმედების დინჯმა, ეპიურად აუჩქარებელმა განვითარებამ დაამტკიცა მშველიძის უშუალო მემკვიდრეობითი კავშირი ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებასთან.

ბოლო წლებში მშველიძის ყურადღება შორეული ქვეყნების თემატიკამ მიიპყრო. მისი სიმფონიური სუიტები — „ინდური“ და „ბირმული“ — წარმოქმნილია აღმოსავლეთის ხალხთა სასიმღერო და საცეკვაო რიტმულ-მელოდიკურ მიმოქცევათა და პოეტური სახეების მხატვრულად განზოგადების ნიადაგზე. ამ ნაწარმოებებმა დიდი მოწონება და საყოველთაო აღიარება ჰპოვეს ინდოეთსა და ბირმაში, სადაც, ქართველი კომპოზიტორის ეს სუიტები, ხშირად სრულდება სიმფონიურ კონცერტებზე და რადიოთი.

მშველიძეს ეკუთვნის აგრეთვე ოთხნაწილიანი „სიმფონიური ციკლი“, რომელშიც ყურადღებას იპყრობს ღრმააზროვანი ადაჯიო და მონუმენტური ფუგა. მასვე მუსიკალურად გაფორმებული აქვს მრავალი დრამატული სპექტაკლები, კინოსურათი „ქაჯეთი“ და სხვ.

ორმოცი წელია, რაც შალვა მშველიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის მუსიკალურ სკოლებსა, სასწავლებლებსა და კონსერვატორიაში. ფასდაუდებელია შალვას ღვაწლი ქართული სამუსიკო ფოლკლორის ნიმუშთა შეგროვებასა და დამუშავებაში. უშრეტი ენერგიის მქონე და სანაქებო შრომისმოყვარეობით გამორჩეული ხელოვანი ყოველივე ზემოთქმულით როდი კმაყოფილდება. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის კონსერვატორიის პრორექტორი, საოპერო თეატრის, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე და ა. შ. იგი ავტორია ძვირფასი სახელმძღვანელოსი ინსტრუმენტობის შესახებ და მთელი რიგი წერილებისა მუსიკის საკითხებზე.

ის, რაც შალვა მშველიძემ დღემდე შექმნა — წარმოადგენს ქართველი ერის სახელსა და სიამაყეს. მისი ღვაწლი ერის წინაშე არერთგზის იქნა აღნიშნული მისთვის ორი სახელმწიფო პრემიის, ლენინის, შრომის წითელი დროშის და სხვა ორდენებისა და მედლების, საპატიო წოდებების მინიჭებით, წერილებით, სტატიებით, მუსიკისმცოდნეთა — ლადო დონაძისა და ანტონ წულუკიძის მონოგრაფიებით და სხვ.

ყველაზე მეტად ის გვახარებს, რომ ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ერის საამაყო შვილი — შალვა მშველიძე დღესაც განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას თავისი ქვეყნის, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ქართველი ხალხის სამუსიკო ხელოვნების შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის.

დაე, დიდხანს იცოცხლოს, იდღეგრძელოს და იმოღვაწეოს ჩვენმა სახელოვანმა კომპოზიტორმა! ბარაქალა მის ნიჭსა და შემოქმედებით თავდადებას მშობლიური ერის საკეთილდღეოდ!

კავლე ჩუბუა,
პროფესორი.

სურათზე: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი შალვა მშველიძე.



რესპუბლიკის მთავრობის, მთელი ხალხის მშობლიური მზრუნველობით არიან გარემოსილნი ჩვენი ბედნიერი მომავალი — პიონერ-მოსწავლეები. მათ განკარგულებაშია თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა მშვენიერი სასახლე, სადაც უაღრესად საინტერესო, შინაარსიანი და ხალისიანი ცხოვრება ჩქეფს. პიონერ-მოსწავლეები გაერთიანებული არიან მრავალრიცხოვან თვითმოქმედ წრეებში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ პიონერთა ხალხური ცეკვის წრის წევრებს მორიგი მეცადინეობის დროს.

ჩვენი მკითხველის შემოქმედება

გიორგი გამყრელიძე

მიწა ქართული

ხევებში რბიან ქუხილით წყლები,
ბუმბერაზებად დამდგარან მთები,
ნისლის ნაბდები მოუსხამთ გარსა.
ჭალები ჩანან ლურჯი და კარგი
და ყვავილებით ძდელო ნაქარგი
შწვანე ტალღებით მიჰკვება ქარსა;
შრიალებს ზღაპარს ძველი ჭადარი
და მე ამ ქვეყნად შენი სადარი
არ მეგულება სხვა კუთხე არსად.

პურს დაუხრია მძიმე თაველი
და სიმინდს ტარო ორი მტკაველი
გაუშვერია ტკბილი რძით სავსე;
ეზოებს ჩრდილავს კაკლის ხეები,
ძველი კოშკები და ციხეები
გადმოსცქერიან გარემოს თავზე.
ქვეყნად ბევრია ლაღი ჩვენება,
მაგრამ ვერც ერთი ქვეყნის შვენება
მე შენ შვენებას ვერ მივამსგავსე.

მკვდარს რომ ჩამესმას უფლის ხმა ზარად:
„ადა, განიცხე სიმშვიდეს მარადს
და სამოთხეში თავშესაფარსა“. —
ვეტყოდი: გმადლობ, მამაო წმიდა.
მაგრამ თუ ჩემი ცხონება გინდა:
მშობელი მიწა მარგუნე მკვდარსაც.
მე მისი მსგავსი წყლების ჩქერიალი
და ცა-ფირუზის კაშკაშ-ციალი
არ მინახია ამ ქვეყნად არსად.

და ვუბრუნდები მშობლიურ კერას,
რადგან განგების წყალობა მჯერა —
გამოჩნდა ოდა და დერეფანი!
ხმაური გააქვთ ქვევრებში სარცხებს,
ფუტკარიც ისევ ეხვია ცაცხვებს
და ჩვენ ალვისხეს აყროდა ტანი.
ხელი შევახე ზემოურ მარანს
და დედა ჩემი მეძახის წყნარად:

„შვილო, სადა ხარ ამდენი ხანი?“
„დედავ! მოვედი მეზავრი გვიანი,
გზა მქონდა გრძელი, თანაც ქვიანი,
და ეკლეებით მაქვს ფეხები წყლული.
ბნელ სამარეში დიდხანს მეძინა,
მაგრამ მომინდა რომ მომესმინა
შენი ნანინა აკვანში თქმული.“
მე მოვიარე ქვეყნები ბევრი,
ვნახე მრავალი ჭალა და ტევრი,
მაგრამ სად იყო მიწა ქართული?

1954 წელი.

ქ. პარიზი.

ივანე არქანგელოზიური ძაგლი

კახეთში, მდინარე ილტოს მარცხენა მხარეს, სოფელ მატნის მახლობლად, სადაც თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატი მარმარილოს ამოღებას აწარმოებს, ბულდოზერისტი ვალერიან გაგუნაშვილი მიწის თხრის დროს უძველეს ნივთებს წააწყდა. თიხის ჭურჭლისა და ბრინჯაოს სატევარმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა, რომელიც აღნიშნულ ნივთებს გაეცნო, დაადასტურა, რომ აღმოჩენილია დიდმნიშვნელოვანი ქეგლი. გამოვლინებული მასალა მოწმობს, რომ საქმე უნდა გვქონდეს საკმაოდ ძველ ნამოსახლართან (ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისიდან ფეოდალური ხანის ჩათვლით).

გიორგი შატბერაშვილი

დევსურაშვილის სევნია

მაინც რა უნდა მოხდეს არაჩვეულებრივი იმ ხუნარ სოფელში, სადაც მე ვცხოვრობ... რა მოგითხროთ მისი ცხოვრების გამო?

იქნებ მოსაწყენადაც ჩავთვალოთ ეს ერთფეროვანი ეზოები, ასწლოვანი კაკლის ხეები, ვენახები და ვარდისფრად აყვავებული ასკილის ბუჩქები გრძელ ორღობეებში.

ბინდდება, ნახირი სოფელში შემოდის, და დედაბერი ახლანდელ ხბოს აბამს აპეურზე გამომშვილი შინდის რკალით.

წამიც და, ეს უკანასკნელი ჩქამიც წყნარისა მიწყდება.

ღამდება.

მართლაც მოსაწყენია ეს სურათი, რომელიც მრავალჯერ დახატულა და უკეთესადაც. შეუჩვეველი თვალი მხოლოდ ამგვარ სურათებს დაინახავს. მე კი, აი, პირველსავე სახლში შევალ, აქ მე ყველა მცნობს, დინჯად მიპასუხებენ სალამზე. შეუჩვეველი თვალი რომ მახლდეს, ვერ მიხვდება, ესიამოვნა თუ ეწყინა მასპინძელს ჩემი შესვლა.

მე კი ამ ბერიკაცის თვალებში ვხედავ შეკავებულ სიამოვნებას, ჩემი -ტუმრობით გამოწვეულს. ეს სოფლის ფოსტალიონია, ... რაღაც უნდა მიამბოს. მე ჩავწერ, მერე ყაგიტხავთ და თქვენ განსაჯეთ, გამოვიცან თუ არა მის თვალებში სიხარული.

* * *

დაბალ მაგიდაზე სველი ხელადა გაჩნდა. ჩემი ნაცნობი წაფურა წითელი ღვინით ივსება. კერასთან დედაბერი ფუსფუსებს. აშიშხინებულ ერბოს კვერცხებს ახლის...

— რატომ არაფერს მიირთმევთ? აი, დოიანი კარაქი, ახალი შედღვებილია. იქნებ ნედლი კაკალი გესიამოვნოთ?!

არ მინდა ძვირად დავუსვა მასპინძელს ჩემი სტუმრობა, მაგრამ ქართველი კაცის პატივი გულწრფელ ბრძანებას წააგავს და მასთან ფარიკაობა არ გამოდგება. უნდა დაყაროთ მორიდების ფარ-ხმალი... ესხდებით. ბერიკაცი კმაყოფილია. იღიმება.

ერთხანს საუბარი გზას ვერ პოულობს, მაგრამ საფირავი ტკბილად არ დაუყენებია მასპინძელს. ეშხი იბადება. წაფურა მოგზაუროობს და გვამხნევებს.

კერასთან მსხდომი ბალღებიც იღიმებიან, პაპის გაბადრულ სახეს რომ ხედავენ.

— ამ სიბერეში სახელი გამომიცვალეს; პაპა მახარე შემარქვეს, აღმართებში რომ გამოვჩნდები, ყივილხივილით აიშლება დიდი და პატარა. გამოეფინებიან გზებს: მახარე მოდის, მახარეო, წინ მხვდებიან — აბა, ამოსხი აბაიდან მერცხლებიო!

მეც ამოვაფრენ ჩვენი ბიჭების წერილებს — სამფრთიან მერცხლებს; დედები მლოცავენ, მამები არაყზე მეპატიჟებიან, მეც ვილოცები. ჩემთანვე ხსნიან წერილებს, კითხულობენ: ზოჯს დნეპრი გადაულახავს, ზოგს ლენინგრადთან გაუთქვამს სახელი, ორდენებით დაუმშვენებია მკერდი. ჭათ ლხინს ჩემი ლხინი მოსდევს, მათი სიხარულის ცრემლს ჩემიც ემატება.

მაგრამ, მზე რომ მზეა, ისიც კი ჩრდილს ისვრის. შრომაში ოფლი იღვრება, ბრძოლაში სისხლი, ვაზის სხვლაშიც ეკაწრება კაცს თითი, და ჩვენ ხომ მტერს ვებრძვით, გაფთრებულ მტერს, ასე დაემხოს მისი ქვეყანა!

აღელვებულმა ბერიკაცმა ნაბდის ქუდი მოიხადა, ერთხანს იყუჩა და ისევ განაგრძო:

— ჰოდა, რაღა გავაგრძელო. ამბავს მივადექ... ამ ორიოდე დღის წინათ, ჩემდა შავბედად, ერთი შავი დეპეშა მოვიდა. ვისი? მეზობლის, კარგი ძმაკაცის... საწყალი გიორგი-მეთქი, მოვიწმინდე ცრემლი და გავუდექ გზას.

არც ისე შორს ცხოვრობენ. შუბათი იცი? მიდიხარ... მაგრამ როგორ ვუთხრა? გულს შიიხმიანე, შევეხმიანე კი არა, ვუბრძანე: გამაგრდი-მეთქი, და შევუდექ აღმართს.

წვიმდა, ბნელოდა. წვიმას ვინ ჩივის: ვინ აიხსნების ... ოფლის მცირე უბედურებას დიდის წინ?

წვიმდა გიორგის ნიშს ავუარე. აღარა ჩწამს, მაგრამ პირჯვარი მაინც გადავისახე (არ ჩაწერო!), გიორგის სული შეავედრე ძლევამოსილს. შუბათში შეხვალ თუ არა, პირველივეა მათი სახლი.

არც ისე გვიანაა. შუქიც გამოდის სარკმლიდან, ხმაურიც ისმის. რა იციან, თავს რა ჭირი დასტრიალებთ, იქნებ, ქეიფშიც არიან გართულნი. ვერ გავბედე შეხმიანება.

სარკმელს მივადექ და შევიხედე. დიახ, ქეიფში იყვნენ.

ბერიკაცები, ვაჟკაცები, ჭალ-რძალი, ბალღებიც კი სუფრას გარშემო უსხდნენ და ლხინობდნენ. ყველა ერთს შესცქეროდა და შესცინოდა. ის კი ფეხზე იდგა, თეთრპერანგა, ახოვანი ვაჟკაცი, თამადა თუ იყო... ლხინობდა და სხვებსაც ალხენდა. არა, ვერა შევალ... როგორ შევბედავ, მერე ამოვალ... ლხინი ჭირად როგორ შევუქციო ამ ოჯახს.

* * *

მაგრამ დაიცა... ეს თეთრპერანგა ვაჟკაცი ვინ არი? მხარბეჭიანი, რიხიანი... რა ვიცი!..

დავკვირდი... ეს ხომ გიორგია-მეთქი, კინაღამ დავიკივლე. ის იყო, გიორგი დევსურაშვილი, ჩვენი სოფლის თვალი და სიამაყე.

აბგაში მისი დაღუპვის დეპეშა მედო. თვალები მოვიფშვნიტე, სიზმარი გრძელიც ვიცი და უცნაურიც, მაგრამ ასეთი არა მზმანებია-რა.

ახლა კი შევალ-მეთქი, და თუ დავყოფნდი, ისიც იმიტომ, რომ მუხლებს ცახცახი შემიჩრიობინა. ხმა რომ ამომიღო, ცას გაეპობდა, სოფელს წამოშლიდა ჩემი სიხარული.

არც კი შევხმიანებულვარ, ისე შევალი კარი და ანაზდად მათ შორის გავჩნდი. ხომ მოგეხსენებათ. ჭართელი კაცისათვის ლხინში შემოსწრებული ჭირში დამხმარეზე ნაკლები არ არის.

ორჯამიან წაფურებს დაცლა უნდა!

ვინ დათიოს?

შემოსწრებიმა.

რძეში მოხარშული შემოდგომის თიკანის ხის მიართმევენ?

შემოსწრებულს...



დაილოცოს საქართველო, დაემხოს მტრის ქვეყანა!

გიორგის გვერდით დამსვეს. დავწმუნდი, ის იყო.

— როდის დაბრუნდი, ბიჭო?

— აი, ეს-ესაა...

ნამგზავრს ოფლი არც კი შეშრობოდა კარგად. იჯდა თეთრპერანგა და ვაჟკაცურად მიღიმოდა, დისკად.

ამ უდროო დროს რამ მოგიყვანა, რა გინდაო, ხომ არ მკითხავდნენ და არც მე ვამხელდი ჩემი ანაზდეული სტუმრობის მიზეზს. ვფრთხილობდი; რა ვიცი, კაცნი ვართ, სიკვდილი ტყუილიც კი ძნელია! ეს პირველად, სანამ ღვინო საფეთქლებს მისწვდებოდა. მალე ამანთო დალოცვილმა და, თავგზა რომ დავკარგე ბერიკაცმა, ამოვიღე ეს ოხერი დეპეშა და სიცილით წინ დავუდე გიორგის, წაიკითხე, რა სწერია-მეთქი. ვერც ჩემად ჩაიკითხა. შავმა ამრდილმა გადაიარა ნის ნათელ შუბლზე, თითქოს იაღაც გაახსენდაო, მერე ანაზდად გადაყარა ნაღველი თვალებს და ხმამაღლა წაუკითხა ყველას.

დასწუეცლა ღმერთმა ეს ტკბილი ღვინო!

რა მრჯიდა. შემენახა ან დამეხია, დამეწვა...

დედამ ცალკე დაიკივლა, ცოლს გული შეუღონდა და სანამ მოაბრუნებდნენ, იდგა ერთი გწიასი. ბავშვები დაწიოკდნენ და ყველა მე მომჩერებოდა — შიშით, გაოცებით, ზიზღითაც, როგორც დამნაშავეს. ავიბუზე და გულს ვუთხარ: ახია შენზე, ბებერო, აკი იცოდი, რომ სიკვდილი ტყუილიც კი ძნელია-მეთქი.

ისევ გიორგიმ მიხსნა. ხალხი დამშვიდა, თავ-თავის ადგილას დასხა და ასეთი სადღეგრძელო გვითხრა:

„გაუმარჯოს გიორგი დევსურაშვილის ხსოვნას! ჩემი კარგი ამხანაგი იყო, კახელი, ერთად ვიბრძოდით, ვაჟკაცურად დაეცა და მე გავუთხარე ჩემი ხელით სამარე. მის სადღეგრძელოს ამაღამ მაინც დავლევდი და პაპამ დროზე გამახსენა“...

განცვიფრება და ელდა გაქრა. ყველამ სიყვარულით დავლიეთ ჩვენი მასპინძლის ძვირფასი სეხნიის შესანდობარი.

როდესაც ღამე კარგად გატყდა და ბალღებმაც დაიძინეს, იმ დაღუპული ვაჟკაცის ამბავი გვიამბო გიორგიმ. მაგრამ რა ამბავი იყო, რომ იცოდეთ, რა ამბავი, ის რომ ვაჟკაცი ყოფილა!

ხან სიხარულით, ხან დანანებით ვტიროდით.

დიდება დაღუპულ გმირებს, დავლიოთ მათი მოსაგონარი!

და როცა დავლიეთ, მოხუცმა დათამ მითხრა:

— აბა, წაიღე ეს ამბავი და გაჟქვეყნე. სახელიც შენ დაარქვი!

ქართული ფეხბურთის



თბილისის „დინამო“ — ჩემპიონი

დამთავრდა 1964 წლის პირველობა ფეხბურთში, დამთავრდა ისე, რომ არ იყო ცნობილი ჩემპიონი. პირველად სამამულო ფეხბურთის ისტორიაში ორმა გუნდმა თბილისის „დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“ ერთნაირი ქულები დააგროვეს და პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. დაინიშნა დამატებითი მატჩი.

18 ნოემბერი. ტაშკენტი.

უზბეკეთის დედაქალაქი ფეხბურთის მეჩად გადაიქცა. გულშემატკივრები ჩამოდიოდნენ თითქმის ყველა ქალაქიდან, მაგრამ ყველაზე მეტი სტუმარი შუა აზიას მაინც საქართველოდან ეწვია და უნდა ითქვას, რომ უზბეკებმა გულითადი მასპინძლობა გაგვიწიეს. მარტო ისიც კმარა, რომ ისინი ჩვენთან ერთად უჭერდნენ მხარს ქართველ ფეხბურთელებს.

ოთხმოცი ათასამდე მაყურებელმა შეავსო „პახტაკორის“ („მებამბის“) სტადიონი. მატჩის წინ მასპინძლებმა თბილისელ ფეხბურთელებს პლანტაციებიდან მოტანილი ბამბის რტოები აჩუქეს, ბათუმელებმა კი მანდარინებით ასხმული დაფნის გვირგვინი ჩამოკიდეს წინასწარმეტყველურად გუნდის კაპიტანს შოთა იამანიძეს.

და აი ოქროს მატჩი დაიწყო!

მოთამაშეებს ეტყობოდათ ნერვიულობა, ისინი ვერ ამჟღავნებდნენ ჩვეულ ოსტატობას, ხშირად კარგავდნენ გადაცემებს, პირველი ორმოცდახუთი წუთი მოსკოველთა უპირატესობით აღინიშნა. ისინი უფრო ხშირად უტევდნენ. კარგად თამაშობდა თბილისელთა დაცვა და მეკარე ს. კოტრიკაძე. ტორპედოელთა მაღალ ტემპს და შეტევებს დინამოელები კონტრიერიშებით პასუხობდნენ, რომლებიც არანაკლებ სახიფათო იყო, ვიდრე ავტომჭარხნელთა გამუდმებული შტურმი. საგოლო მომენტები იყო, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა.

ცხადი იყო, რომ ტორპედოელებმა მიზნად დაიხახეს პირველ ... გადაეწყვიტათ მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ, მაგრამ მათი ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე „ტორპედომ“ გახსნა ანგარიში, 1:0. თბილისელები აგებენ. და აქ ქართველი ფეხბურთელები ათამაშდნენ. მათ ჩამოიცილეს ნერვიული დაძაბულობა, ამოქმედდნენ სწრაფად, გააზრებულად, ჩვეული ოსტატობით. ქართველი ფეხბურთელები უტევდნენ განუწყვეტლივ და აი გოლიც. ი. დათუნაშვილმა 72-ე წუთზე კუთხურიდან ბურთი პირდაპირ მოწინააღმდეგის კარში გაგზავნა. ლამაზი და ეფექტური გოლი იყო — 1:1. 90 წუთი ამოიწურა, ფრე. დაინიშნა დამატებითი ოცდაათი წუთი.

სწორედ აქ იჩინა თავი თბილისელთა მაღალმა ფიზიკურმა მომზადებამ, მოწდომებამ და სწრაფვამ გამარჯვებისაკენ. დამატებით დროს მესამე წუთზე მ. მესხი მარცხენა ფრთიდან ცენტრში შევიდა, მოატყუა რამდენიმე მცველი და ბურთი ი. დათუნაშვილს გადასცა. ამ უკანასკნელმა არ დაკარგა და შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი ზედა კუთხეში — 2:1. დინამოელები აღფრთოვანებული არიან, მათ ხვევნა-კოცნით კინაღამ გაგუდეს ორი გოლის ავტორი ი. დათუნაშვილი. რამდენიმე წუთის შემდეგ მ. მესხმა ოსტატურად აართვა ბურთი ტორპედოელთა მცველს, პირისპირ გავიდა მეკარესთან და ანგარიში ! ამამდე გაზარდა — 3:1, ეს უკვე გამარჯვებაა.

დინამოელები კვლავ უტევენ, თამაშის დამთავრებას ათი წუთი აკლია. მატჩის ბედი გადაწყვეტილია. სახიფათოდ უტევს იამანიძე, დარტყმა — ბურთი ძელმა მოიგერია, კვლავ დარტყმა — კვლავ ძელი. უტევს მესხი — დარტყმა და ბურთი ხელზე ხვდება მცველს. თერთმეტმეტრიანი. ს. მეტრეველი უნაკლოდ ასრულებს „პენალტს“ — 4:1. გამარჯვება, დამსახურებული და დიდხანს ნანატრი გამარჯვება.

ქართველი ფეხბურთელები ბედნიერი და დაღლილი სახეებით საპატიო წრეს უვლიან ტაშკენტის „პახტაკორის“ სტადიონს, ტრიბუნები ტაშით, ვაშას შეძახილებით ესალმება ახალ ჩემპიონს — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს.

ამ დროს კი საქართველოს დედაქალაქში სიხარულის ნამდვილი ზეიმია, ფეხბურთის მოყვარულთა დიდი არმია აეროდრომისაკენ დაიძრა. იმავე ღამით დაბრუნდნენ დინამოელები თბილისში. მათ შეხვდნენ აღფრთოვანებული თბილისელები, რომლებმაც ხელში აიტაცეს გამარჯვებულნი და ასე კარგა ხანს ატარეს ისინი.

ქართველმა ფეხბურთმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მრავალი წლის მანძილზე იდგნენ ახლოს სანუკვარ მიზანთან თბილისის დინამოელები და მხოლოდ წელს მიაღწიეს საწადელს, დაიპყრეს უმაღლესი საფეხური და ღირსეულად მოიპოვეს უძლიერესის სახელი.

ოცდახუთი წელიწადი ელოდნენ ქართველი გულშემატკივრები ბედნიერების ამ წუთებს და აი ისიც, აღსრულდა. ოქროს მედლები მოპოვებულია.

* * *

22 ნოემბერს, ისევ ტაშკენტში კიდევ ერთი გადამწყვეტი მატჩი გაიმართა: ქუთაისის „ტორპედო“ და გორკის „ვოლგა“ ერთმანეთს ეცილებოდნენ უმაღლეს ლიგაში დარჩენას. ეს შეხვედრაც ქართველი ფეხბურთელების ბრწყინვალე გამარჯვებით — 4:2 დამთავრდა. მომავალ საფეხბურთო სეზონში საქართველოს სპორტულ ღირსებას კვლავ ორი გუნდი დაიცავს.

ო. ლორთქიფანიძე.

ტაშკენტი-თბილისი.

ცოტაოდენი სტატისტიკა

1936 წლიდან, როცა თბილისის „დინამო“ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატების უცვლელი მონაწილე გახდა, დღემდე იგი მოწინავეთა რიგებშია. მოსკოვის „სპარტაკთან“, „დინამოსთან“, ცსკა-სთან, „ტორპედოსთან“ და კიეველ დინამოელებთან ერთად ისინი ქმნიან ჩვენი ფეხბურთის დიდ ექვსეულს — მის დიდებასა და სიამაყეს.

ქართველ ფეხბურთელთა წლევანდელი მიღწევა შემთხვევითი როდია. წლების მანძილზე ისინი საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში დგანან და ამ ოცდახუთი წლის მანძილზე დაკავებული ადგილების მიხედვით არაფრით არ ჩამოუვარდებიან საბჭოთა ფეხბურთის სხვა ლიდერებს.

თბილისის „დინამო“ ოთხჯერ იყო მეორე ადგილზე — 1939, 1940, 1951, და 1953 წლებში. ექვსჯერ მესამეზე — 1936, 1946, 1947, 1950, 1959 და 1962 წლებში. ოთხჯერ ფლობდა მეოთხე ადგილს (1937, 1945, 1948, 1952 წლები). ერთხელ მეხუთე ადგილს — 1963 წელს. 1938 და 1949 წელს გუნდმა მეექვსე ადგილი დაიკავა. იყო ისეთი წლებიც, როცა ერთგვარი ჩაიარდნაც მოხდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს გარდატეხის წლები იყო, როდესაც გუნდი დასტოვა ერთმა თაობამ და მის ნაცვლად მოსული მეორე თაობა ძალას იკრებდა. ასე, მაგალითად, 1954 წლიდან 1961 წლამდე „დინამო“ ორჯერ 1957 და 1961 წლებში მეშვიდე ადგილზე გამოვიდა, სამჯერ — 1954, 1956 და 1960 წლებში მერვე ადგილზე და ორჯერ 1955 და 1958 წლებში მეცხრე ადგილზე.





სურათებზე: ზემოთ — თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა, პირველ რიგში, მარცხნიდან: მ. მესხი, ნ. ლეჟავა, გ. პეტრიაშვილი, ვ. ბარქაია, ა. აფშევი, ს. კოტრიკაძე, ე. ხუციშვილი, ი. დათუნაშვილი; მეორე რიგში: უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი, ბ. სიჭინავა, გ. ცხოვრებოვი, ვ. რეხვიაშვილი, გ. სიჭინავა, ჯ. ზეინკლიშვილი, გუნდის უფროსი ა. ღოღობერიძე, მ. ხურცილავა, შ. იამანიძე, ს. მეტრეველი, მწვრთნელი ა. კოტრიკაძე.

ქვემოთ სამ სურათზე აღბეჭდილია „ოქროს მატჩის“ სამი ეპიზოდი: უტევენ თბილისელები; არის მეორე გოლი; კარი აღებულია მეოთხედ.

გამარჯვება

ქეგულთა ქება

ვრავალი აზრი გამოითქვა თამაშის დამთავრების შემდეგ. ლაპარაკობდნენ ...ობელი სპეციალისტები და მიმომხილველები, ფეხბურთელები და ჟურნალის-...ები. უკანასკნელ დღეებში კი მრავალი მოსალოცი დეპეშა მოუვიდათ დინამოე-...ებს.

ა. სტაროსტინი (სპორტის დამსახურებული ოსტატი): თამაში მძაფრი იყო. ...ინამოელებმა მეტი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და დამსახურებულად ...ამარჯვეს.

ნ. ოზეროვი (სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო რადიოს კო-...ენტატორი): ვულოცავ ქართული ფეხბურთის მესამე თაობას ბრწყინვალე გა-...ჯვებას. ისიიი უძლეიოესები არიან და მოწიხააღმდეგეზე უფრო ტექნიკური ...ენ.

ი. ზოლოტოვი (მოსკოვის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი): თბილისის ...ინამო“ ჩვენთვის ყოველთვის მრისხანე მოწინააღმდეგე იყო. ისღა მრჩება, რომ ...ინამოელებს პირველი ოქროს მედლები მოვულოცო. ისინი მათ სავსებით დაიმ-...სახურეს

მოვიდა მრავალი დეპეშა დინამოელთა სახელზე. იწერებიან სსრ კავშირის ...ვადასხვა ქალაქიდან, საზღვარგარეთიდან. აი ზოგიერთი მათგანი:

„აღსრულდა, ბოლოსდაბოლოს თბილისელები ჩემპიონები გახდნენ. გილო-...ავთ მეგობრებო!“. **ტ. პეტროსიანი**, მსოფლიოს ჩემპიონა ჰადრაკში. ქ. ტელ-...ივი.

„მე განსაკუთრებით მახარებს მივულოცო თბილისის „დინამოს“ ბრწყინვალე ...ამარჯვება. ჩემი გუნდი „ვალანსიენი“ საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია. მჯე-რა, რომ ჩვენ გეწვევით და ერთმანეთში ვითამაშებთ ამხანაგური მატჩს. ძალიან ...არგი იქნება თუ სპორტი საშუალებას მომცემს ვნახო საქართველო“. **რობერ დიუმერგი**, ფრანგული კლუბის „ვალანსიენის“ მწვრთნელი.

„თბილისის დინამოელთაგან უველაზე უკეთ სლავა მეტრეველს ვიცნობ. მჯე-რა,რომ თბილისელთა თავდასხმაში არანაკლები ოსტატები არიან. მეგობრებო, ...ოლოცავთ დიდ და დამაჯერებელ გამარჯვებას“. **ი. კოლევი**, ბულგარეთის ნაკ-...რების წევრი.

„ვულოცავ დინამოელებს და რასაკვირველია ჩემ ძველ მეგობრებს მიხეილ მეს-...ხს და სლავა მეტრეველს. ვწუხვარ, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ...ერჯერობით ჩვენი გუნდები ვერ შეხვდება ერთმანეთს, ვწუხვარ, რადგან „დი-...ამო“ მეტად საინტერესო კოლექტივია. **ფ. ალბერტი**, უნგრეთის ნაკრების ცენ-...ტრფორვარდი.

„მხურვალედ ვულოცავ თბილისის დინამოელებს დიდ გამარჯვებას და შემდ-...ომ წარმატებებს ვუსურვებ მათ. გისურვებთ ყოველთვის ითამაშოთ ისე, როგორც 18 ნოემბერს — ლამაზად, შეტევებით“. **ა. ნეპომნიეცკი**, ჩეხოსლოვაკიის ოლიმ-...იური ნაკრების მოთამაშე.

„ვულოცავ უველა დინამოელს დამსახურებულ გამარჯვებას. ვფიქრობ ამიე-...რიდან ქართველები ოქროს მედლების ხშირი მაძიებლები იქნებიან. „ამის საწინ-...დარი მათი წლევანდელი გამარჯვებაა“. ლაიოშ ბაროტი, უნგრეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.



სურათზე: თბილისი, 18 ნოემბერი, 1964 წელი. ქართველი გულშემატკივრე-ბი, ისინი, ვინც აბ დღეს ტაშკენტში არ იყვნენ, სახლებში ვერ დამდგარიყვნენ, ქუჩებში გამოსულიყვნენ და ისე უსმენდნენ „ოქროს მატჩის“ რეპორტაჟს ტაშკენტიდან.

მოგვილოცნია!..

ქართველმა ფეხბურთელებმა ბევრი ...ნყინვალე ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა ...პორტის მატიანეში. მთელს საბჭოთა ...ვშირში ჰქუხდა „ფეხბურთის კარუ-...ოდ“ აღიარებული ბორის პაიჭაძე, ...სანიშნავი ფეხბურთელები ანდრო ჭორ-...ანია, გაიოზ ჯმუხაძა, მიხეილ გერ-...ანიშვილი, გრიგოლ გაგუა, გიორგი ...ნთაძე, ავთანდილ ღოღობერიძე და ...რავალი სხვა. ეს ფეხბურთელები თბი-...ისის „დინამოს“ პირველი თაობის ...არმომადგენლები — ქართული სპორტის ...ეგენდარები არიან. აი რას ამბობს ამ ...აობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ამ-...ად თბილისის „დინამოს“ გუნდის უფ-...ისი ავთანდილ ღოღობერიძე:

— ძვირფასო თანამემამულენო! ჩვენ, ქართველი ფეხბურთელები, არაერთხელ გამოვსულვართ სათამაშოდ ევროპის, აზიისა და ამერიკის სტადიონებზე. ჩვენ თამაში გვიხდებოდა უცხო გარემოსა და პირობებში, მაგრამ რწმენა იმისა, რომ ჩვენ დიდი საბჭოთა ქვეყნის შვილები ვართ, გვამხნევებდა. ძალას გვმატებდა თქვენი მხარდაჭერა და თანაგრძნობა. ჩვენ ვგრძნობდით უცხოეთის სტადიონებზე მცირერიცხოვანი ქართული აუდიტორიის გულწრფელ სიმპათიასა და სითბოს. ეს კი გვავალებდა კიდევ უფრო მტკიცედ გვებრძოლა ქართული სპორტისა და კერძოდ, ფეხბურთის სახელისა და ღირსებისათვის.

გარწმუნებთ, არც აქ, ჩვენი მშობლიური ქვეყნის სტადიონებზე, თამაშის დროს გვავიწყდებოდით, რადგან გვჯეროდა, რომ თქვენ ახლოს მიგვაქვთ გულთან ჩვენი ფეხბურთელების ყოველი წარმატება. თქვენ გახარებთ ქართული ფეხბურთის დღევანდელი ტრიუმფიც ისე, როგორც საყვარელი სამშობლოს ყოველი გამარჯვება.

თბილისის დინამოელებს ახასიათებთ სამხრეთელებისათვის ჩვეული ცეცხლოვანი ტემპერამენტი, თამაშის მაღალი ტემპი, სანიმუშო ტექნიკა და არტისტიზმი. ამ თვისებებით ისინი მოკვაგონებენ მსოფლიოს ჩემპიონებს — ბრაზილიელ ფეხბურთელებს. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა ფეხბურთმა ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულე გიორგი ინაშვილზე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ბრაზილიიდან სამშობლოში დაბრუნდა და აი ახლა თქვენ გესაუბრებათ:

— მე მომხიბლა ქართულმა ფეხბურთმა — ცეცხლოვანმა, ტემპერამენტიანმა და ტექნიკურმა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ქართულ და ბრაზილიურ ფეხბურთს ბევრი აქვთ საერთო. ორივე ქვეყანაში მტკიცედ არის დამკვიდრებული ლამაზი და ტექნიკური ფეხბურთი, რომელიც მაყურებელს დიდ ესთეტიკურ კმაყოფილებას ანიჭებს.

დასასრულს სიტყვას ვაძლევთ ბევრი თქვენგანისათვის კარგად ცნობილ თანამემამულეს, წარსულში შესანიშნავ ფეხბურთელს და ახლა სამშობლოში პოპულარულ დრამატურგს ომარ ჩიჯავაძეს:

— თბილისის „დინამოს“ გამარჯვება საუცხოო სპორტული მიღწევაა. მაგრამ ამ შესანიშნავ წარმატებას მხოლოდ სპორტული მხარე როდი აქვს. მასში გამოვლინდა დიადი ლენინური ეროვნული პოლიტიკის პროგრესული არსი, რომელმაც საშუალება მისცა რუსეთის იმპერიის ოდესღაც ჩაგრულ და ჩამორჩენილ ხალხებს შეექმნათ თვითმყოფადი, მაღალგანვითარებული კულტურა, მეცნიერება, სპორტი. ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვებაც სწორედ ამ ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა.

მოწმობს თუ არ ეს თვალსაჩინო მოვლენა ქართველი ერის კოლოსალურ კულტურულ პროგრესს? დიახაც, რომ მოწმობს. და თუ ამ ფაქტს ზოგიერთი კერძო, არატიპიურ შემთხვევად მიიჩნევს, ჩვენ ამ ურწმუნო ადამიანებს შეგვიძლია მოვაგონოთ, რომ არ არსებობს ინტელექტუალური ცხოვრების ისეთი სფერო, რომელშიაც საბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატებები არ ჰქონდეს მოპოვებული.



ს.ჭ. 10/10

ნიუ-იორკში, პარიზში...

სამეცნიერო ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის მათემატიკური განყოფილების გამგე, ლენინური პრემიის ლაურეატი **რევაზ გამყრელიძე** ამ ორიოდე წლის წინათ მიწვეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტში ლექციების კურსის წასაკითხავად.

წელს ქართველი მეცნიერი კვლავ მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამჟამად იგი მიჩიგანის უნივერსიტეტში ლექციების კურსს კითხულობს მთელი სემესტრის განმავლობაში. მისი ლექციების თემაა ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორია.

გარდა მიჩიგანის უნივერსიტეტისა რევაზ გამყრელიძეს ცალკეული ლექციები ექნება ნიუ-იორკის, პრინსტონის, სანფრანცისკოს, ლოს-ანჯელოსისა და სხვა უნივერსიტეტში.

მიჩიგანის უნივერსიტეტში სემესტრის დამთავრების შემდეგ რ. გამყრელიძე მიწვეულია პარიზში — სორბონის უნივერსიტეტში.





ლაშქრები, პროფილით

ოსეფაშვილს ვალერიან არტემის-ძეს, დაბადებულს 1924 წელს, ეძებს მამა — არტემ ოსეფაშვილი, მცხოვრები მცხეთის რაიონის სოფელ უსანში.

გაკურაძეს ქართლოს ვახტანგის-ძეს (იგივე ლევან ქოგულაშვილი), დაბადებულს 1921 წელს, ეძებს დედა — გაკურაძე თამარ დავითის ასული, მცხოვრები ქ. თელავში, ჯორჯიაშვილის ქ. № 4.

ლაშქარაშვილს დიმიტრი (ტიტო) იოსების-ძეს, დაბადებულს 1914 წელს ქ. თელავში, ეძებს და — ლაშქარაშვილი დარიკო იოსების ასული, მცხოვრები ქ. თბილისში, რაზმაძის ქ. № 42.

გაძრაძეს ალექსანდრე იაკობის-ძეს, დაბადებულს 1905 წელს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, ეძებს შვილი — გაძრაძე ლეილა ალექსანდრეს ასული, მცხოვრები თბილისში, კიროვის ქ. № 13.

რუსაძეს მოსე ლევანის-ძეს, დაბადებულს 1904 წელს, ეძებენ მეუღლე და შვილი—ლევანი, მცხოვრებნი ქ. გათუშში, გაგარატიონის ქ. № 52.

ქეშელაშვილს აკაკი მიხეილის-ძეს, დაბადებულს 1920 წელს, ეძებს მამა — მიხეილ ქეშელაშვილი, მცხოვრები თბილისში, ოქტომბრის ქ. № 39.

ყატაშვილს შალვა ვასილის-ძეს, დაბადებულს 1916 წელს, ეძებენ დედა — თამარი, დები — გაგულია, მერი, დალი, თამილა. მცხოვრებნი სოფელ ქვემო მაჩხაანში.

სურათებზე: მოსე ლევანის-ძე რუსაძე (ზემოთ) და შალვა ვასილის-ძე ყატაშვილი (ქვემოთ).



ეს მშვენიერი შენობა — სასტუმრო-რესტორანი ახლახან ააგეს სოფელ ფასანაურში.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე კვირას 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30.83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, ვოლოდარსკის 3.